პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 16 (4010) 94

1970 წ. იანვარი. შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ამოცანების წინაშე

ქართული სპორტის განვითარებაში თბილისის ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს დიდი წვლილი შეაქვთ. საქართველოს დედაქალაქის წარმომადგენლებმა ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთ შორს გაუთქვეს სახელი საბჭოთა სპორტს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ შარშან მსოფლიო პირველობათა შედეგების მიხედვით, თბილისმა III ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის ქალაქებს შორის. მისმა წარმომადგენლებმა მოიპოვეს ოქროს 5, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 5 მედალი.

ახლა ჩვენი ქალაქის ფიზკულტურელთა წინაშე დგას მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ამოცანა — კარგად მომზადება სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის და მიუნჰენის ოლიმპიური თამაშებისთვის.

20 იანვარს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში ჩატარდა 1969 წლის მსოფლიო, ევროპისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონთა, აგრეთვე, ამ შეჯიბრებების სხვა პრიზიორთა შეკრება.

ინფორმაციით გამოვიდა თბილისის საქალაქო აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. შარაშიძე. მან აღნიშნა, რომ 1969 წელს თბილისში მომზადდა 4 საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, 145 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი. 203 ოსტატობის კანდიდატი, 1000-ზე მეტი პირველთანრიგოსანი. სტატისტიკური მონაცემებით, ახლა ფიზკულტურულ მოძრაობაში ქალაქის 212 ათასი მცხოვრებია ჩაბმული. საუცხოო მაჩვენებლები აქვთ სპორტკლუბებს „სინათლეს", „განთიადს", „უშბას", მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლების ფიზკულტურულ კოლექტივებს.

შეკრებაზე გამოვიდნენ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ჭადრაკში ნ. გაფრინდაშვილი, „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი გ. ჩოხელი, საქართველოს ალკა თბილისის კომიტეტის მეორე მდივანი ვ. ალავიძე, სსრ კავშირის ჩემპიონი ცურვაში თ. ლეკვეიშვილი, მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში შ. ლომიძე, პირველი მაისის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. პატარაია, „დინამოს" კალათბურთელთა გუნდის უფროსი მწვრთნელი ლ. ინწკირველი, ფეხბურთის საქალაქო ფედერაციის თავმჯდომარე ი. ლობჟანიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. მათ შეკრებილთა ყურადღება გაამახვილეს მთელ რიგ გადასაწყვეტ საკითხებზე, რომლებიც აფერხებენ რესპუბლიკაში სპორტის განვითარებას. აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ისეთ მასობრივ სახეობებს, როგორიცაა ცურვა, მძლეოსნობა და ძალოსნობა, რადგან მედლების უველაზე დიდ რაოდენობას სწორედ ეს სახეობები იძლევიან.

შეკრების შედეგები შეაჯამა საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ლოლაშვილმა.

(საქდესი).

შტანგა-70

საერთაშორისო ასპარეზობათა ახალ სეზონს საბჭოთა ძალოსნები დაიწყებენ ტრადიციული ტურნირით მეგობრობის პრიზზე, რომელიც ამჯერად მარტის შუა რიცხვებში გათამაშდება ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში. ამ შეჯიბრებაში საასპარეზოდ, რომელიც საბჭოთა კავშირში მეთორმეტედ ტარდება და დიდი რეპუტაციით სარგებლობს სპორტულ სამყაროში, 14 ქვეყნის სპორტსმენები არიან მოწვეული.

1970 წლის საერთაშორისო შეხვედრების გეგმაში 20-მდე შეჯიბრებაა შეტანილი. საბჭოთა ძალოსნები გამოვლენ ევროპის ჩემპიონატში, რომელიც ივნისში უნგრეთში გაიმართება, და მსოფლიო პირველობაში, რომელიც სექტემბერში ამერიკის ქალაქ კოლუმბუსში ტარდება. ისინი ტრადიციულ შეჯიბრებებზე გაემგზავრებიან ირანში (ივნისი) და ნორვეგიაში (აგვისტო), სადაც ბალტიკის თასი გათამაშდება.

საერთაშორისო ტურნირებში ფართოდ ჩაებმებიან მოკავშირე რესპუბლიკებისა და ცალკეული ქალაქების სპორტსმენებიც. საბჭოთა კავშირში ჩამოვლენ რუმინეთის, პოლონეთის, უნგრეთის, კუბის, ბულგარეთის, ფინეთის, მონღოლეთის წარმომადგენლები. თავის მხრივ საბჭოთა ძალოსნები გამოვლენ რუმინეთში, ტუნისში, კუბაში, ინდოეთში, უნგრეთში. ჩატარდება უკვე ტრადიციად ქცეული მატჩები კლუჟისა და კიშინიოვის, ლენინგრადისა და ჰელსინკის ათლეტებს შორის.



ქვეყნის ჩემპიონთა ოქროს მედლებს საბჭოთა ძალოსნები ჩვეულებრივზე ცოტა ადრე გაითამაშებენ. ეს მოხდება აპრილში, ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში. გუნდური ჩემპიონატი, რომლითაც წლევანდელი კალენდარი უნდა დაიხუროს, დეკემბრის ბოლოს გაიმართება დნეპროპეტროვსკში. იუნიორთა საკავშირო პირველობა აპრილის დამდეგს ჩატარდება უკრაინაში, ჭაბუკთა საკავშირო ასპარეზობა — ოქტომბრის ბოლოს კიშინიოვში.

„ხალიფა ერთი საათით"

საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალის (შეჯიბრება თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს) V და VI ტურებში ბრძოლა უკიდურესობამდე დაიძაბა.

V ტურში ყურადღების ცენტრში იყო ლიდერების ლ. ნეურონოვისა (ბათუმი) და ა. რაზოვსკის (ქუთაისი) შეხვედრა. ქუთაისის ჩემპიონმა კარგად ითამაშა, გაიმარჯვა კიდეც და ტურნირს სათავეში მოექცა. მაგრამ იგი, როგორც ამბობენ, იყო მხოლოდ „ხალიფა ერთი საათით"; VI ტურში რაზოვსკი დ. გედევანიშვილს (თბილისი) შეხვდა, მძაფრ ბრძოლაში თბილისელმა მოჭადრაკემ შეტი შემართება გამოავლინა და ერუპიროვნულ ლიდერს სძლია.

ამით ისარგებლა ნეურონოვმა და ი. მანაშეროვთან (ხაშური) გამარჯვებით ქუთაისის ჩემპიონს კვლავ მხარში ამოუდგა.

შესანიშნავად ითამაშა რუსთავის ჩემპიონმა გ. ბიბილაშვილმაც. მან ჯერ მარნეულელ ვ. ბადალიანს მოუგო, მერე — თბილისელ მ. ძნელაძეს.

ამრიგად, 6 ტურის შემდეგ რაზოვსკის, გედევანიშვილს, ნეურონოვსა და ბიბილაშვილს 5-5 ქულა აქვთ.

ლიდერებს კვალში მიჰყვებიან თბილისელი ა. გაგუა და გ. კუთარაშვილი (გორის რაიონი) — 4,5-4,5 ქულა. გაგუამ დაამარცხა შ. ჭრელაშვილი (თიანეთი) და ქუთაისელი ოსტატობის კანდიდატი ტ. ხარლამიდი. ცნობილმა გორელმა პრობლემისტმა მოუგო გ. შოგირაძეს (ზუგდიდი), ხოლო ხარლამიდის ყაიმზე შეუთანხმდა.

სტარტზე თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ო. თურქესტანიშვილი ყაიმებს სჯერდებოდა. V და VI ტურებში იგი მარჯვედ თამაშობდა და 2 ქულაც მიიღო — მოუგო დ. ექვთიმიშვილსა (საგარეჯო) და ს. კიკილაშვილს (ლაგოდეხი). ახლა თურქესტანიშვილს და ძნელაძეს 4-4 ქულა აქვთ.

ლიდერთა ჯგუფში არიან, აგრეთვე, ა. გიორგაძე (სოხუმი), მანაშეროვი, ხარლამიდი, გ. მუანიაშვილი (გორი), პ. მარკოვი (ფოთი) და ა. სუბელიანი (მესტია) — 3,5-3,5. აღსანიშნავია, რომ პირველთანრიგოსნებმა სუბელიანმა და გიორგაძემ შესაბამისად დაამარცხეს ოსტატობის კანდიდატები ლ. ზაიდშერი (სოხუმი) და მ. არჩვაძე (სამტრედია).

თ. გიორგაძე.

სპორტული ომსკი



ომსკში მკაცრი ციმბირული ზამთარი დგას. ყინვა ზოგჯერ 50 გრადუსს აღწევს, მაგრამ ქალაქის სპორტული ცხოვრება არ კვდება. ათასობით ომსკელი გადის სათხილამურო ბილიკებზე, თავს იყრის საციგურაოებზე. ყინულქვეშ თევზაობის მოყვარულები ფაციანთ ამორჩეულ ადგილებს აკითხავენ მდინარე ირტიშზე.

აი, მაგალითად, ომსკის ერთი სპორტული დღე. რეპორტიორი იყო სპორტულ მოედნებზე, შეჯიბრებებზე, საწვრთნელ მეცადინეობებზე. ომსკელთა დასვენების საყვარელ ზონაში — ჩორნოლუჩიეში. ომსკის ახლოს გაშლილია ათობით დასვენების სახლი, პროფილაქტორიუმები, სადაც შაბათ-კვირას ბევრი ჩამოდის დასასვენებლად.

ზამთრობით აქ მთავარი გატაცება, რა თქმა უნდა, თხილამურებია. ომსკში 29 ათასი მოთხილამურე-თანრიგოსანი ცხოვრობს.

* * *

სურათზე: სტუდენტ მოთხილამურეთა შეჯიბრება ქალაქის პირველობაზე.

ფოტო ი. სომოვისა.

ეს საინტერესოა

● საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, პერსონალური პენსიონერი ვ. სახვაძე (სოხუმი) გვეკითხება, მიენიჭება თუ არა ბ. გურგენიძეს სსრ კავშირის დიდოსტატის წოდება?

1969 წლის 1 აპრილიდან ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს ახალი საკვალიფიკაციო სისტემა. ამ სისტემის დებულებაში სსრ კავშირის დიდოსტატის წოდების შესახებ ვკითხულობთ: „სსრ კავშირის დიდოსტატის წოდება ენიჭება მოჭადრაკეს, რომელმაც მიიღო საერთაშორისო დიდოსტატის ტიტული, ან სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალში III ადგილი დაიკავა, ან შეასრულა დიდოსტატის ნორმა — დიდოსტატთა წინააღმდეგ დააგროვა ქულების 55 პროცენტი, ოსტატების წინააღმდეგ — 75 პროცენტი იმ ტურნირში, სადაც ეს ნორმა იყო დაწესებული".

მაშასადამე, როგორც კი ფიდე-ს კონგრესი (ოქტომბერი, გფრ) საერთაშორისო დიდოსტატის წოდებას მიანიჭებს, ბ. გურგენიძე სსრ კავშირის დიდოსტატის ტიტულსაც მიიღებს.

საინტერესოა, რომ ი. პლატონოვი და ა. ლუტიკოვი სსრ კავშირის დიდოსტატები არიან, საერთაშორისო დიდოსტატის წოდება კი მათ მხოლოდ დიდ საერთაშორისო ტურნირში ამ ნორმის შესრულების შემდეგ მიენიჭებათ.

● წყალტუბოს რაიონის სოფელ დერჩის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ლ. სართანიას აინტერესებს: რამდენი სპორტის ოსტატი მოჭადრაკეა საქართველოში და ვინ არიან ისინი?

ჩვენში 19 სპორტის ოსტატია: ნანა ალექსანდრია (წოდება უნდა დაამტკიცოს 1974 წელს), ა. ბოკუჩავა (1970), ა. ბუსლაევი (1972), ნონა გაფრინდაშვილი (სამუდამოდ), თ. გიორგაძე (1972), ბ. გურგენიძე (1973), რ. ჯინჯიხაშვილი (1972), ციური კობაიძე (1971), ა. იზვოზჩიკოვი (1970), ე. უბილავა (1970), ალა ჩაიკოვსკაია (1971), ი. ჩიქოვანი (1970), მ. შიშოვი (1972), ა. ბლაგიძე, ელისო კაკაბაძე, თ. კიკიანი, თ. ლომაია, ნ. სოროკინი და მანანა ტოგონიძე.

ოსტატი, რომელსაც გვარის შემდეგ ფრჩხილებში წელი არ უწერია, ტურნირში მონაწილეობის დროს საკვალიფიკაციო ნორმის გამოთვლისას ოსტატობის კანდიდატად (ვაჟი) ან პირველთანრიგოსნად (ქალი) ირიცხება. ოსტატი თავის უფლებას კარგავს იმ შემთხვევაში, თუ სამი წლის მანძილზე რომელიმე ტურნირში ერთხელ მაინც არ დაამტკიცა ოსტატის ტიტული.

უფლების დაკარგვის საშიშროება მოელით იმ ოსტატებს, ვისაც დამტკიცების ვადა 1970 წელს უთავდება.

ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ა. ჩაიკოვსკაია და ბ. გურგენიძე საერთაშორისო ოსტატებიც არიან, ხოლო ნ. გაფრინდაშვილი სპორტის დამსახურებული ოსტატიცაა.



პირველი ფაიმი

მოსკოვი, 21 იანვარი. სსრ კავშირის ჩემპიონის სახელისთვის ტ. პეტროსიან — ლ. პოლუგაევსკის მატჩის დღეს გამართული მეორე პარტია ყაიმით დამთავრდა.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ახალინდური დაცვა გამოიყენა, მაგრამ უპირატესობას ვერ მიაღწია და მეტოქენი 22-ე სვლაზე დაზავდნენ.

მატჩის ანგარიში გახდა 1,5:0,5 პეტროსიანის სასარგებლოდ.

საქართველოს ჩემპიონები ფიგურულ ციგურაობაში





გ. იაშვილი | ნ. სარაჯიშვილი | მ. მახარაშვილი | ქ. გუჯაბიძე | მ. ჯაიანი | თ. ლომაძე

ფალავანი ფალავნობდეს!

ვერმინი „ფალავანი“ ბევრ სპორტის სპეციალისტს ამ ბოლო დროს სხვადასხვაგვარად ესმის, თუმცა ლიტერატურაში, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, იგი სწორადაა ახსნილი.

ყველა რუსულ-ქართულ (1937, 1940, 1958 წ.წ.) თუ ქართულ-რუსულ (1948 წ.) ლექსიკონში „чемпион“ ქართულად ჩემპიონია, ფალავანი, და პირუკუ.

იგივე მდგომარეობაა საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რუსულ-ქართული სპორტული ტერმინოლოგიური ლექსიკონის მაკეტში.

ამ მხრივ გამონაკლისია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სადაც „ფალავანი“ ახსნილია, როგორც „კარგი ვაჟკაცი“, „გმირი“ და, საერთოდ, „მოჭიდავე“. ვერ დავთანხმებით ამ განმარტებას. „ფალავნობა“ ახსნილია ასე: „ფალავნის თვისება“, „ფალავნად ყოფნა“.

განა ყველა მოჭიდავეზე იტყოდა ვინმე, „ფალავნის თვისება“ აქვსო? მით უმეტეს, „ფალავნად ყოფნას“ მუდამ შეუფერებელ გამოთქმად მიიჩნევდნენ ისეთი მოჭიდავისთვის, რომელიც რომელიმე საუბნო, სასოფლო თუ სათემო შეჯიბრებაში გამარჯვებული არ იქნებოდა.

ქართულ ლიტერატურაში ცნება „ფალავანი“ უმთავრესად ისეთ კონტექსტში გვხვდება, რომ იგი უნდა გავიგოთ მხოლოდ როგორც გამარჯვებული (ამასთან, არაერთხელ) და არა როგორც, უბრალოდ, „კარგი ვაჟკაცი“, თუნდაც „გმირი“, მით უმეტეს, როგორც, „საერთოდ მოჭიდავე“.

დ. ჯანელიძე წიგნში „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“ ყვენობის აღწერისას ვკითხულობთ: „შემდეგ ხალხი ორ ბანაკად იყოფა; ორ მოჭიდავეს გამოჰყოფენ, იმართება მათი ფალავნების ჭიდაობა“ (გვ. 284). ვფიქრობთ, აქ ნათლად ჩანს, რომ ფალავანი ჩვეულებრივი „მოჭიდავე“, „კარგი ვაჟკაცი“ („ფალავანი“ სწორი გაგებითაც არ გამორიცხავს ამ ეპითეტს) და „გმირი“ (გმირიც ხომ გამარჯვებულს, მძლეავს, მოკრავს ნიშნავს) კი არ არის, არამედ ის მოჭიდავე, რომელიც გამარჯვებულია (იმარჯვებს შეჯიბრებაში, უფრო მეტიც, იმარჯვებს არაერთხელ).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჭიდაობა ძველად ძალიან ხშირად, კვირაში ერთხელ მაინც იმართებოდა სოფელში და ყოველ შეჯიბრებაში ახალ-ახალი ფალავნები ვლინდებოდნენ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ეს ცნება ასე ფართოდ გავრცელებულია.

გავიხსენოთ სხვა ადგილები დ. ჯანელიძის ხსენებული ნაშრომიდან. მაგალითად, ეს: „... ჩვენ ჩვენი პარტიიდან გამოვიყვანთ ერთ ფალავანს, დავჭიდნოთ ორნივე და ვისმა ფალავანმაც გაიმარჯვოს, ყველობაც იმას დარჩეს“, „ჩვენი ფალავნები“, „... მეორე პარტიის ფალავანმა“, „გამარჯვებულ ფალავანს“, „... ორი ფალავნის ბრძოლას“ (იგულისხმება ჭიდაობა. — 3. ე.).

კარგ მოჭიდავეს მუდამ განასხვავებდნენ საქართველოში. რამდენადაც ჭიდაობაც უხდებოდა, შემთხვევითი არ არის, რომ „... ყველნენ მუდამ კარგ მოჭიდავეს აყენებდნენ“ (საქ. სახ. თეატრალური მუზეუმის ხელნაწერი № 38).

თურქულ-რუსულ ლექსიკონში „ფეხლევან“ (ჩვენებურად, ფალავანი) ახსნილია როგორც ათლეტი, მოჭიდავე, გმირი, გოლიათი. ეს სიტყვა, როგორც ცნობილია, სპარსულიდან არის გადასული. ვფიქრობთ, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ფალავანი“ ამის გავლენით უნდა იყოს ახსნილი.

არ ვდაობთ იმის თაობაზე, რომ სპარსულში, ისევე როგორც თურქულში, „ფეხლევანი“ მართლაც ათლეტს, არა თუ გმირსა და გოლიათს, არამედ საერთოდ მოჭიდავესაც კი აღნიშნავს. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვსურს, რომ ქართულ ენაში ფალავანი აუცილებლად ჭიდაობაში (ამ ბოლო დროს ეს სიტყვა გავრცელდა სპორტის სხვა სახეობებშიც. გავიხსენოთ ზემოთ მოყვანილი მაგალითი 1937 წელს გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონიდან) გამარჯვებულს ნიშნავს. ამდენად ასეთი გამოთქმა: „ქართველი ფალავნები — მსოფლიო ჩემპიონები“ სწორი არაა. მაგალითად, ნიშნავს თუ არა გამარჯვებულს გამარჯვებულთა შორის (ჩემპიონთა ჩემპიონს, ანუ თანამედროვე გაგებით, აბსოლუტურ ჩემპიონს) გამოთქმა „ფალავან-ფალავანდად“ (სარგის კაკაბაძე, „რუსთაველი და მისი ვეფხის ტყაოსანი“. 1966, გვ. 257)? „ქართველების მხრივ მორკინალედ (მოჭიდავე) გამოვიდა ფალავანდიშვილების წინაპარი და სპარსელების მხრივ... მათი ფალავანი. პირობა ასეთი იყო — სისხლის ღვრის მაგივრად ვაჭიდათ ფალავნები და რომლის ფალავანიც გაიმარჯვებს, ის მხარე იქნება გამარჯვებულია. აი, შებრძოლებაში ქართველების ფალავანმა დასცა სპარსელების ფალავანი და გამარჯვება ქართველებს დარჩა“. „ქართველების მეფე შეეკითხა გამარჯვებულ ფალავანს (უკვე „ფალავან-ფალავანდს“) — რა საჩუქარს მოითხოვო“ და ა. შ. „გამარჯვებული ფალავანი“ უნდა გავიგოთ. როგორც ფალავანთა შორის ფალავანი.

ხალხში ახლაცაა შემორჩენილი: „მუშა უნდა მუშაობდეს, ფალავანი ფალავნობდეს“. განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფალავანი უნდა იმარჯვებდეს (ესე იგი ჩემპიონი უნდა იყოს რომელიმე შეჯიბრებისა)? განა ახლაც არ იტყვიან, ჩემი ფალავანი მოვიდეს, ვნახოთ, ვინ აჯობებსო?

საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ შედარებით ადრეც სახელმძღვანელო ლიტერატურაში (მაგალითად, რუსულ ენაზე გამოცემულ ფიზიკური კულტურის ენციკლოპედიურ ლექსიკონში) ცნებები „ჩემპიონი“, „რეკორდსმენი“ და „ოსტატიც“ კი, სამწუხაროდ, გაიგივებულია.

დასასრულ, ვიმეორებთ, რომ, ჩვენი აზრით, სიტყვა ფალავანი თეორიულ-პრაქტიკულ საქმიანობაში უნდა ვიხმაროთ როგორც ჩემპიონის, ანუ გამარჯვებულის გამომხატველი, მით უმეტეს, რომ თვით ჭიდაობის ჩვენი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებიც ამავე აზრისა არიან.

დოცენტი ვ. ელაშვილი.

იბეჭდება კამათის წესით.

საქმის სიყვარულით

თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ, რომლის საბჭოს თავმჯდომარედაც რამდენიმე წელია ფაბრიკის დირექტორი მარიამ ავალიანი მუშაობს, მარჯვე კოლექტივის სახელი მოიპოვა. დირექტორის, საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის, ფაბრიკის მთავარი ინჟინრის კ. ჩხაიძის, საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტ ჯ. მორგოშიას მონდომების, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ზრუნვის შედეგია, რომ ამ საწარმოს მუშამოსამსახურეთა ნახევარზე მეტი „განთიადის“ წევრია. ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, შაშის, ფრენბურთის, კალათბურთისა და სპორტის სხვა სახეობათა სექციებში სისტემატურად 400-ზე მეტი კაცი მეცადინეობს. ზამთრობით არც სათხილამურო სპორტს ივიწყებენ— ხშირად სტუმრობენ ბაკურიანს, იქ ვარჯიშობენ, შემდეგ კი „განთიადის“ ან პროფკავშირების დარგობრივი კომიტეტის პირველობებში ცდიან ძალას.

ხშირად ტარდება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, რეგულარულად ეწყობა ტურნირები სხვადასხვა სახეობაში, მატჩები მეზობელ კოლექტივებთან. ამას გარდა, სათანადო ყურადღება ეთმობა ტურიზმს, თევზაობასა და ნადირობას. კარგად მუშაობენ საერთო ფიზმომზადების სექციები, ეწყობა ჯანმრთელობის სპარტაკიადები.

მაგრამ ფაბრიკის სპორტსმენები მარტო შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებს როდი სჯერდებიან: ისინი სისტემატურად მონაწილეობენ კიროვის რაიონის ტურნირებში, „განთიადის“ საქალაქო და რესპუბლიკურ ჩემპიონატებში. მაგალითად, შარშან ამ საწარმოს გუნდმა კიროვის რაიონის მოჭადრაკეთა პირველობაში გამარჯვება მოიპოვა, ხოლო ფრენბურთში II ადგილი დაიკავა.

ფაბრიკის ფიზკულტურელთა წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მუშა სპორტსმენებს რუსუდან მნათობიშვილს, რომელიც წარმოებიდან მოუწყვეტლივ სწავლობს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში, იზოლდა ქამუშაძეს, სვეტლანა არველაძეს, ვ. ბაჩიაშვილს, გ. თიბილურს, ვ. სიფრაშვილსა და სხვ.

თბილისელი მკერავები მეგობრობენ ბაქოს ვოლოდარსკის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციას, შეჯიბრებებს მართავენ როგორც მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში, ისე სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

შარშან ნოემბერში თბილისელები ბაქოელ მეგობრებს ეწვივნენ, — ფრენბურთში, ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში შეჯიბრნენ მასპინძლებს. სამივე სახეობაში გამარჯვება სტუმრებს დარჩათ. შემდეგ ბაქოელები საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდნენ თბილისელ კოლეგებთან, აქაც იასპარეზეს, ამჯერად, ჭადრაკსა და მაგიდის ჩოგბურთში. ჭადრაკში უპირატესობა მასპინძლებს დარჩათ. სტუმრებმა მაგიდის ჩოგბურთში გაიმარჯვეს. ბაქოელებს დაათვალიერებინეს თბილისის ღირსშესახედაობანი, ჰყავდათ გორში, მცხეთაში. მაშინ შეთანხმდნენ, რომ მომავალში ერევნის რომელიმე სამკერვალო ფაბრიკასთან დაამყარონ კავშირი, რათა სამთა ტურნირები გამართონ ხოლმე.

თბილისელ მკერავებში დიდი პოპულარობით სარგებლობს საწარმოო ტანვარჯიში. მშრომელთა გაჯანსაღებისა და შრომისნაყოფიერების ამაღლების ეს საუკეთესო საშუალება ფაბრიკაში ამ 13 წლის წინ დაინერგა.

ფაბრიკაში ფიზკულტურისა და სპორტის პოპულარობას ისიც ადასტურებს, რომ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულებები სისტემატურად გადაჭარბებით სრულდება. მარტო შარშან აქ 30 თანრგოსანი, შშთ კომპლექსის 60 ნიშნოსანი, საწარმოო ტანვარჯიშის 15 ინსტრუქტორი მოამზადეს.

ჩაებნენ რა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, მე-6 სამკერვალო ფაბრიკის თანამშრომლებმა და ფიზკულტურელებმა ივალდებულეს უფრო მაღალი მაჩვენებლები მოიპოვონ შრომასა და სპორტში. ისინი მოაწყობენ ფოტოსტენდს, 8 სახეობაში ჩაატარებენ საფაბრიკო სპარტაკიადას და სხვა ღონისძიებებსაც გამართავენ.

ტ. კიკნაველიძე,
„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო და კადრების განყოფილების გამგე.



თბილისი

ბაქოს ნარიმანოვის რაიონის კალათბურთელთა და ფრენბურთელთა ნაკრები გუხდები ამას წინათ სტუმრად იყვნენ თბილისში და პლასტმასის ქარხნის სპორტდარბაზში შეხვდნენ ლენინის რაიონის სპორტსმენებს. ფრენბურთში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1. კალათბურთელთა შეხვედრაც თბილისელთა სასარგებლოდ დამთავრდა — 84:64. ლენინის რაიონის სპორტსმენები საპასუხო ვიზიტით ეწვევიან ბაქოს.

ვ. ტარიელაშვილი.

ცხინვალი

აქ დამთავრდა ქალაქის პირველობა კრივში. რინგზე 34 სპორტსმენი გამოვიდა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ვ. ქოქიევი, ს. ხანიკაევი, ნ. პეტროვი, ვ. კოროევი, რ. ქოქიევი, გ. კაჩმაზოვი, გ. სანკოევი, ა. კულუმბეგოვი, ა. ოსტაევი, ბ. გასიევი და ვ. ქუძიევი.

ვ. მელქოევი.

ინფორმაციები

მაღალ დონეზე

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა „შრომითი რეზერვების“ თბილისის პირველობა ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა 8 გუნდი. უნდა აღინიშნოს, რომ შარშანდელთან შედარებით გაიზარდა როგორც მონაწილეთა რაოდენობა, ისე მათი მომზადების ხარისხი.

შეჯიბრებაში კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს მე-18, მე-6, 31-ე და 54-ე პროფტექნიკურმა სასწავლებლებმა, რომლებმაც ასეთივე თანმიმდევრობით გაიანაწილეს მოწინავე ადგილები.

აღნიშვნის ღირსი არიან ნორჩი ფეხბურთელები ვ. რეხვიაშვილი, ტ. ჟღენტი, ზ. კუკუჩაია, ზ. პატარავა, ა. ზუმბაძე, შ. აფციაური, გ. ბაქანიძე, ო. ჯაჯანიძე, გ. საბანაძე, ნ. მელიაური, ო. ნიბერიძე, ს. გომურიშვილი, ნ. აფციაური, ნ. ბუინოვი... რამდენიმე ფეხბურთელი შეყვანილია სპორტსაზოგადოების ნაკრებ გუნდში.

ტ. ვაჭარაძე.

სემინარი ადგილობრივ ძალებით

ცხაკაიას ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა გამართა საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოს თავმჯდომარეთა სამდღიანი სემინარი. ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე შ. ჩიქობავა, ფიზაღზრდის მასწავლებლები მ. ადამია, გ. ბოკუჩავა და ო. ოდიშარია მსმენელებს ესაუბრნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებების გამართვის, ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს მუშაობის საორგანიზაციო, „მზად ვარ საშრომლოს დასაცავად“ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების, საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანებთან მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების, აღრიცხვიანობის, ლექციური პროპაგანდის, საწარმოო ტანვარჯიშის, ქალებთან მუშაობის საკითხებზე.

სემინარზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რაიონში სპორტის ეროვნული სახეობების განვითარების პრობლემებს.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი

პირველი წრე ციფრებში

„დინამო“ (თბილისი)	თ.	მ.	წ.	ბ.	ჭ.
	10	5	5	718—770	5

	მატჩი	წუთი	ჯარიმა	ქულა
1 უგრეხელიძე	10	243	28	139
2. საკანდელიძე	9	252	23	82
3. მოსეშვილი	7	183	12	81
4. სხიერელი	9	216	32	79
5. ბოლქვაძე	9	213	26	73
6. ჭორქია	5	150	10	67
7. ა. ლეჟავა	7	163	22	66
8. მაღალაშვილი	8	100	19	42
9. ჩიხლაძე	10	170	26	42
10. ნარიმანიძე	10	232	34	28
11. ფიცხელაური	6	92	12	8
12. ქარაბაკი	3	17	5	5
13. ბუიღლიშვილი	1	6	2	3
14. ქუთათელაძე	1	3	0	3

თბილისის „დინამოს“ პირველი წრე ჯერ არ დაუმთავრებია: სათამაშო დარჩა მატჩი ტარტუს „კალევთან“. ეს შეხვედრა 22 თებერვლისთვისაა თბილისში დანიშნული. ასე რომ, დინამოელთა მაჩვენებლები, ისევე როგორც „კალევისა“, დასრულებული არ არის. თბილისის „დინამოს“ (ჯერჯერობით VII ადგილი) „გატანილი“ ქულებით (718) ბოლო, XII ადგილი უკავია, ხოლო გატანილისა და მიღებულის სხვაობით (— 52) — VIII. „დინამომ“ შინ 4 შეხვედრა ჩაატარა და 3 მოიგო (დამარცხდა ცსკა-სთან), სტუმრად კი 6 შესაძლებლიდან მხოლოდ 2 ქულა აიღო. ჩვენი კალათბურთელები ყოველ მატჩში საშუალოდ 72 ქულას აგროვებენ, რაც ერთობ ცოტაა.

ასკ (კიევი)	თ.	მ.	წ.	ბ.	ჭ.
	11	5	6	805—768	5

	მატჩი	წუთი	ჯარიმა	ქულა
1. ხალუბინი	11	353	43	139
2. პოგულიაი	11	349	43	129
3. ეგოროვი	11	266	37	107
4. ნოვიკოვი	8	198	33	100
5. ოკიპნიაკი	11	279	45	98
6. სუშაკი	11	202	44	83
7. რაძიევსკი	10	172	32	47
8. ბრიანცევი	8	178	30	42
9. პინჩუკი	9	75	23	32
10. არხიპოვი	4	27	10	11
11. ნიკოლაევი	10	97	23	8
12. პოროხნენკო	2	3	0	5
13. მანხუროვი	3	10	0	4

კიევის არმიელებს (VIII ადგილი) „გატანილი“ ქულებით (805) IX ადგილი უკავიათ, ხოლო ქულების ბალანსით (+37) — V. არმიელთა კოლექტივი ერთადერთი გუნდია ჩემპიონატში, რომელმაც შინ ყველა შეხვედრა მოიგო (5-დან 5!). სამაგიეროდ, იგი ასევე ერთადერთია, რომელმაც სტუმრად ვერც ერთი ქულა ვერ აიღო (6-დან 0). უკრაინელი კალათბურთელები ყოველ მატჩს საშუალოდ ასეთი ანგარიშით იგებენ — 73:70.

ევროპის ჩემპიონატებისთვის

პრიელები სტარტის წინ

ბაკურიანი, 21 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). თებერვლის დამდეგს აქ სსრ კავშირის კიდევ ერთი თასი გათამაშდება — ამჯერად, მორბენლები იასპარეზებენ. ტურნირის მთავარი მიზანია დაკომპლექტება ქვეყნის ნაკრებისა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატში გამოვა. ბაკურიანის გენერალურ რეპეტიციაში როლებს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდები შეასრულებენ.

საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებისთვის მზადების პროგრამით ჩატარდა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა თასის პირველი გათამაშება, რომელშიც 9 გუნდი ჩაება. ბაკურიანის თოვლიან ბილიკებზე გამოდიოდნენ ცნობილი სპორტსმენები ლ. დოროხინა, რ. აჩკინა, ა. აკენტიევი, გ. ვაგანოვი, ვ. პოპოვი, ვ. ტარაკანოვი და სხვები, რომელთაც ჩეხოსლოვაკიაში წასვლის შანსები აქვთ.

პირველ დღეს ქალები 5 კმ-ზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვაჟები — 20 კმ-ზე. ვაჟებისთვის ტრასა იმდენად რთული და ძნელი იყო, რომ სპორტსმენებს ბრძოლა გაუჭირდათ, თუმცა ამინდი შესანიშნავი იდგა. შუა დისტანციის მერე დაწინაურდა მოსკოვის სამხედრო ოლქის გუნდის წევრი ვ. პოპოვი. მე-10 კილომეტრზე მასთან 30 წამს აგებდა ა. სიტაევი (ურალის სამხედრო ოლქი), რომელიც II ადგილზე მიდიოდა. 60 მონაწილიდან პოპოვმა ბოლომდე თავდაუზოგავად ირბინა და გამარჯვებაც დაისაკუთრა — 1:23.31. II ადგილი სიტაევს დარჩა — 1:25.13. III ადგილზეა ვაგანოვი (მოსკოვის ოლქი) — 1:25.16.

ქალთა შეჯიბრებაში 12 სპორტსმენი ჩაება. დოროხინასა (ურალი) და აჩკინას (მოსკოვის ოლქი) დუელში ჩაერია ტ. პოშნიკოვა (მოსკოვის ოლქი), რომელიც ერთხანს კიდეც დაწინაურდა, მაგრამ ბოლო კილომეტრზე ტემპი შეანელა და საბოლოოდ III ადგილს დასჯერდა — 19.23,0. აჩკინამ (19 წუთი) კი დოროხინას 11 წამით აჯობა.

აჩკინა და დოროხინა შეჯიბრების მთავარი ფავორიტები რომ იყვნენ, ეს ერთდღიანი დასვენების შემდეგ 8 კმ-ზე გამართულმა რბოლამაც დაადასტურა. აჩკინა ფინიშთან ახლაც ყველაზე ადრე მივიდა — 28.02,0. დოროხინას შედეგია 28.28,0. III ადგილი ხვდა ურალელ ა. ვოლკოვას — 29.29,0.

ვაჟები ამჯერად 15 კმ-ზე რბენაში გამარჯვებისთვის იბრძოდნენ. წინა შეჯიბრების პრიზიორებიდან იმარჯვა მხოლოდ პოპოვმა, რომელიც III ადგილს დასჯერდა — 51.01,0. ტარაკანოვი და აკენტიევი სტარტიდან სხვადასხვა დროს გავიდნენ, მაგრამ თითქმის ერთნაირ ტემპში მიდიოდნენ და მე-5 კილომეტრზე ერთნაირი შედეგითაც მივიდნენ. შუა დისტანციის მერე აკენტიევი მეტოქეს 4 წამს უგებდა, ფინიშამდე კი ეს სხვაობა კიდევ უფრო გაზარდა და გაიმარჯვა. აკენტიევის შედეგია 50.12,0, ტარაკანოვისა — 50.21,0.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა მოსკოვის ოლქის ნაკრებმა, რომელმაც 75 ქულა მოაგროვა. II ადგილზე არიან ურალის — 34, III — ლენინგრადის სამხედრო ოლქის მოთხილამურეები — 24.

უძლიერესთაგან შედგა არმიელთა ნაკრები, რომელიც ქვეყნის თასის გათამაშებაში ჩაებმება.

ვ. მიქაბერიძე.

● ●

ХПО ქენელის მეემორიალი...

ასე ჰქვია ლეიკ-პლესიდში გამართულ საერთაშორისო ტურნირს ტრამპლინიდან ხტომაში. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, პირველ ტურში ყველას აჯობა იაპონელმა ა. კონომ. მეორე ტურიც იმავე საშუალო ტრამპლინზე გაიმართა. ახლაც იმარჯვა იაპონელმა, ოღონდ ამჯერად ხ. აოჩიმ, რომელიც 67 და 66,5 მეტრზე გადახტა, 217,2 ქულა მოაგროვა და კონო აიძულა II ადგილით დაკმაყოფილებულიყო — 207,5 (63,5 და 62,5). III ადგილზეა მ. გოსლერი (შვეიცარია) — 205,7 (64 და 67 მ).

● ●

ლე ბრასიუს თეთრ ბილიკებზე

ჩატარდა ამ სეზონში მოთხილამურეთა ყველაზე დიდი საერთაშორისო შეჯიბრება. ტურნირში მასპინძლების — შვეიცარიელი სპორტსმენების გარდა მონაწილეობდნენ გდრ-ის, შვეიცის, იტალიის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის მოთხილამურეები. იმის გამო, რომ ჩეხოსლოვაკიელ სპორტსმენებს „მფრინავი მოთხილამურეების“ ბრიგადის „ეროვნებათა თასის“ გათამაშების (შამონი, სანკტ-მორიცი, კორტინა დ'ამპეკო) 1 ტურში გამოდიოდნენ, აქ უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო. პირველობა მოიგო ქვეყნის ჩემპიონმა ჰ. შმიდტმა — 215 ქულა (85 და 80 მ). II ადგილზე გავიდა ი. ხენდერი — 214,7 (ორივეჯერ 82 მ). III ადგილი მაინც ჩეხოსლოვაკიელმა მოიპოვა: ვ. იაკუბეკი 80 და 83 მეტრზე გადახტა და 211,2 ქულა მოაგროვა.

სამაგიეროდ, ჩეხოსლოვაკიელები უღელეურესი იყვნენ ორჭიდში. 15 კმ-ზე ორჭიდელები რბენის ოსტატებთან ერთად ასპარეზობდნენ. გამარჯვება 50 კმ-ზე რბენაში გდრ-ის წლევანდელ ჩემპიონს ჰ. გრიმერს დარჩა — 46.18,0 რომელმაც მასპინძელს ა. კელინს ზუსტად 10 წამით აჯობა. მესამე შედეგი (47.05.0) ორ სპორტსმენს ჰკონდა — შვედ უ. ლესტანდერსა და იტალიელ ე. ბლანკს.

ორჭიდელებიდან საუკეთესომ ტ. კუჩერამ (ჩეხოსლოვაკია) მეორმეცე მაჩვენებელი (49.20,0) მოიპოვა, მეორე დღეს მან ტრამპლინიდან ხტომაც მოიგო (85 და 83 მ — 215 ქულა), ორჭიდში 429.2 ქულა დააგროვა და I ადგილი დაიკავა. მეორე იყო ი. გოსენინეა (პოლონეთი) — 416,4, მესამე — ჯ.-ჰ. ლუკი (გდრ) — 412.5.

3×10 კმ-ზე ესტაფეტაში ბედმა იტალიის მეორე გუნდს (ფ. ნონესი, ე. ბლანკი, უ. კოსტნერი) გაუღიმა — 1:25.52 ამ ტრიომ 5 წამით აჯობა გდრ-ის გუნდს. III ადგილზე ნორვეგიელები გავიდნენ — 1:26.13. ყოველივე ამას იტყობინება ბულგარეთის „ნაროდენ სპორტი“.

● ●

ნაკრების წევრთა უპირატესობით

ფინეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, უკვე შედგა სუომის ნაკრები, რომლის წევრებმა იოუტსაში (რბენა) და იუვასკიულაიში (ხტომა) მორაგი ტურნირები გამართეს. 25 კმ-ზე ასპარეზობაშიც ყველას ახალგაზრდა ჰ. ტაიპალემ აჯობა — 1:22.46. მას წუთითა და 2 წამით ჩამორჩა ო. კარიალაინენი. მესამე შედეგი ჰქონდა ნაკრების მიღმა დარჩენილ კ. ჰიამიალაინენს — 1:24.26.

10 კმ-ზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებაში (გუნდის ლიდერი მ. კიიოსმაა სტარტზე არ გამოსულა) იმარჯვა ჰ. ტაკალემ — 36.51,0.

„მფრინავ მოთხილამურეთა“ ასპარეზობა მოიგო ნაკრების წევრმა ი. რუოტსალაინენმა — 226,5 ქულა (90 და 95 მ). მან ტ. მატილას ხტომების სიგრძეში 2 მ მოუგო, ქულებში — 2,3.

ცსკა — „ცრვენა ზვეზდა“ 2:0

მოსკოვი, 23 იანვარი. კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალური ტურნირის მატჩ-რევანშში გუშინ აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ცსკა და იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდა“. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კალათბურთელებს იუგოსლავიელთა სახით ძნელი და გამოცდილი მეტოქე ჰყავდათ, საბოლოო შედეგი ეჭვს არ იწვევდა: ცსკა-მ პირველი ბრძოლა ბელგრადში თავის სასარგებლოდ დაამთავრა და, ცხადია, შინ სტუმრებს არავითარ შანსს არ დაუტოვებდა.

და მაინც, ბრძოლა უაღრესად მძაფრი, შეუპოვარი და დრამატული მომენტებით აღსავსე გამოდგა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ცსკა-ცა და „ცრვენა ზვეზდაც“ დაახლოებით თანაბარი რანგის გუნდები არიან და ეროვნულ კალათბურთშიც ერთნაირ როლებს ასრულებენ. სსრ კავშირის ჩემპიონი ქვეყნის ნაკრებში 4 კალათბურთელითაა წარმოდგენილი (ანდრეევი, ვოლნოვი, ბელოვი, კულკოვი). 4 დელეგატი ჰყავს ეროვნულ გუნდში „ცრვენა ზვეზდასაც“ (ცვეტკოვიჩი, კაპიჩიჩი, სიმონოვიჩი და ჯურიჩი).

... ბრძოლა მასპინძლების შძაფრი შეტევებით დაიწყო. მე-3 წუთზე ცსკა შესამჩნევად დაწინაურდა — 8:2, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ უკვე სტუმრები გავიდნენ წინ. პირველი ტაიმი ცვალებადი უპირატესობით აღინიშნა. ქულათა ერთგვარი მარაგი მოსკოველებმა შექმნეს მხოლოდ ტაიმის მიწურულს — 50:44.

შესვენების შემდეგაც ერთხანს ძნელი სათქმელი იყო, თუ ვის დარჩებოდა ბოლოს და ბოლოს მოგება, მაგრამ დაახლოებით 30-ე წუთიდან გამარჯვების სასწორი მასპინძლების სასარგებლოდ გადაიხარა. და აი, მსაჯის საფინალო სასტვენი: 105:92 ცსკა-ს სასარგებლოდ.

შეხვედრის შემდეგ გუნდების-მწვრთნელებმა და მსაჯებმა საუკეთესო მოთამაშედ იუგოსლავიელი ცვეტკოვიჩი დააასახელეს, რომელმაც თავის გუნდს 29 ქულა შესძინა. გარდა ცვეტკოვიჩისა, სტუმრების გუნდში გამოჰკვეს კაპიჩიჩი, ცსკა-ში კი — ს. ბელოვი.

ორიდან 2 ქულა!

რიგა, 23 იანვარი. გუშინ მეოთხედფინალური ბრძოლა ჩაატარა ადგილობრივი ტტტ-ს ქალთა გუნდმაც. მან უმასპინძლა პოლონეთის ჩემპიონს — კრაკოვის „ვისლას“. ამ კოლექტივთა პირველი მატჩი კრაკოვში საბჭოთა კალათბურთელებმა მოიგეს (47:39). განმეორებით შეხვედრაში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ცხრაგზის მფლობელის ტტტ-ს უპირატესობა უფრო საგრძნობი იყო. 66:40 — ასე დამთავრდა ეს მატჩი.

შეგახსენებთ, რომ პირველ მეოთხედფინალურ ჯგუფში ზემოაღნიშნული გუნდების გარდა გამოდის იუგოსლავიის „ვოივოდინაც“. ვინაიდან ქალთა შორის ჯგუფურ ტურნირებში მხოლოდ 3-3 კოლექტივი ასპარეზობს (ვაჟებთან ერთი მონაწილით მეტია), 1 ტურში იუგოსლავიის ჩემპიონი ისვენებდა. ტტტ-ს ორი მატჩის შემდეგ 2 ქულა აქვს და თავის ჯგუფში ლიდერად ითვლება.

კიდევ რამდენიმე

22 იანვარს გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის კიდევ რამდენიმე მეოთხედფინალური შეხვედრა. ქალთა შეხვედრებში ყველაზე საინტერესო და შეუპოვარი გამოდგა სოფიის მატჩი, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი „აკადემიკი“ და საფრანგეთის „კლერმონ-ფერანი“ (შეგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრანგების 7-ქულიანი უპირატესობით). სოფიაში, გამარჯვებულის გამოსავლენად საჭირო გახდა დამატებითი პერიოდის დანიშვნა. საქმე ისაა, რომ 40 წუთის შემდეგ სადემონსტრაციო დაფა აჩვენებდა ანგარიშს 68:61 (37:46) და ვინაიდან უპირატესობა ამ შემთხვევაშიც 7 ქულით განისაზღვრებოდა, შეჯიბრების დებულების თანახმად, მსაჯებმა 5 წუთი დუმატეს. აქ კი ბოლოს და ბოლოს ბულგარელებმა 3-ქულიან სხვაობას (79:71) მიაღწიეს, რაც საკმარისი გამოდგა საერთო გამარჯვებისთვის.

ვაჟთა იმ ჯგუფში, სადაც სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ჩემპიონები თამაშობენ, წარმატებით ისახელა იტალიის „ინისმა“. მან ამჯერადაც მოუგო საფრანგეთის „ვალერბანს“ — 96:70 (50:31). სწორედ „ინისია“ საბჭოთა ჩემპიონის შემდეგი მეტოქე: 5 თებერვალს ცსკა პირველ მატჩში უმასპინძლებს იტალიელთა გუნდს.

მეორე მეოთხედფინალურ ჯგუფში ბელგიის „რესინგმა“, ისევე როგორც პირველ მატჩში დამარცხა სოფიის „აკადემიკი“, ხოლო მადრიდის „რეალმა“ თავის მოედანზე ჩეხოსლოვაკიის „სლავიასთან“ დამარცხებისთვის რევანში აიღო — 95:80 (52:41).

დაუმარცხებელი ჩემპიონები

აფხაზეთის დედაქალაქში გაიმართა საქართველოს მოსწავლე კალათბურთელთა ზამთრის პირველობა. ახსარეზობაში მონაწილეობა მიიღო ვაჟთა 9 და ქალთა 7 კოლექტივმა.

ვაჟებში სხვებზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა თბილისის პირველი გუნდი, რომელმაც წინასწარ თამაშებში ჯერ რუსთავის კოლექტივი დაამარცხა (47:40), შემდეგ ქუთაისის (47:27), ბოლოს კი აფხაზეთის (56.36) ნაკრები.

ფინალში თბილისის პირველ გუნდს მოუდგა ბრძოლა ამავე ქალაქის მეორე ნაკრებთან, რომელმაც ასევე დაუმარცხებლად განვლო შერჩევითი ტურხირი. ფინალისტთა საინტერესო თამაში დამთავრდა პირველი გუნდის გამარჯვებით — 64:50 (რესპუბლიკის დედაქალაქის ორივე კოლექტივს წვრთნის ვ. ჭეკუასელი).

III ადგილისთვის ბრძოლაში აფხაზეთის ქალათბურთელებმა (მწვრთნელი ა. სედოვი) მოუგეს თბილისის დინამოელებს — 52:41.

ქალთა წინასწარი თამაშები დაუმარცხებლად ჩაატარეს თბილისის პირველი გუნდისა და აფხაზეთის იაკრების წევრებმა. თბილისელებმა მოუგეს სამხრეთ ოსეთის (71:39), აჭარისა (41.28) და თბილისის მეორე გუნდის (37:24) წარმომადგენლებს. აფხაზეთის ქალთა კოლექტივმა, თავის მხრივ, მოუგო ქუთაისელებს (57:49) და თბილისის „დინამოს“ (58.44). დაძაბული იყო ფინალური მატჩი თბილისის პირველ კოლექტივთან (მწვრთნელი რ. ახლაძე) სადაც გამარჯვება აფხაზეთის წარმომადგენლებს (მწვრთნელი ვ. ხაშბა) დარჩათ — 41.40. III ადგილი თბილისის დინამოელებმა (მწვრთნელი ი. მირიანაშვილი) დიდი საკუთრივ.

შეჯიბრება (მთავარი მსაჯი რ. რუხაძე) ორგანიზებულად ჩატარდა.

გ. კოლოსიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

შ. ჯალაღონია,
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

...ამ ...ინიდან

სოხუმი

პედაგოგიურ ინსტიტუტში დამთავრდა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვეს ფიზიკურ-მათემატიკურ ფაკულტეტის წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდა ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის გუნდი, III — ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კოლექტივი.

დ. ზონია.



ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში იმყოფება ჯგუფი საბჭოთა მწვრთნელებისა, რომლებიც ამ ქვეყნის ნაკრებ გუნდებს ფეხბურთსა და მძლეოსნობაში ამეცადინებენ.

ს უ რ ა თ ზ ე: როსტოვის ასკ-ს მწვრთნელი ვ. ნოვიკი ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრების მოთამაშეებთან ერთად.

ფოტო ბ. ფიოდოროვისა (საკდესი).

ობიექტივში მსოფლიო



ზამთრობით მთებში დასვენება ძალიან უყვართ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მცხოვრებლებს. ჯანსაღი ჰაერი, თოვლი, მზე ბევრ ტურისტსა და სპორტსმენს იზიდავს.

ს უ რ ა თ ზ ე: მოთხილამურეები ფიხტელბერგის მთაზე.

ფოტო ადნ—საკდესისა.

ვუნისი. სპორტული დარბაზი 7 ათასი მაყურებლისთვის, რომელიც ბულგარელ სპეციალისტთა დახმარებით აიგო.

ცენტრალფოტო—საკდესი.

მატჩი, რომელიც არ ჩატარებულა

ნიუ-იორკი, 21 იანვარი. ბოლო 10 წლის მანძილზე პირველი მარცხი იწვნია რომის ოლიმპიადის ჩემპიონმა კრივში, მსოფლიო ჩემპიონმა პროფესიონალთა შორის კასიუს კლეიმ, რომელიც ახლა მოჰამედ ალის სახელს ატარებს. მე-13 რაუნდში იგი ნოკაუტში ჩააგდო 50-ანი წლების დაუმარცხებელმა ჩემპიონმა როკი მარჩიანომ. მართალია, ეს ბრძოლა სინამდვილეში არ ჩატარებულა. ეს ყველაფერი კინოეკრანზე მოხდა...

შარშან აგვისტოში გამომთვლელი მანქანების დახმარებით დოკუმენტური და საგანგებოდ გადაღებული კინოკადრებიდან შექმნეს ფერადი ფილმი-მატჩი ყველა დროის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებაზე. კლეი და მარჩიანო ეკრანზე ხელოვნურად შეახვედრეს მეტოქეთა როლში.

საანგარიშო-გამომთვლელ მანქანაში ჩადეს მონაცემები ორივე სპორტსმენის ბრძოლის სტილზე, მანერაზე, ფსიქოლოგიურ მომზადებაზე, აგრეთვე, წამყვანი რეპორტიორების ანგარიშები ამ მოკრივეთა გამოსვლებზე. მანქანამ განსაზღვრა ბრძოლის „სცენარი".

თავიდან უპირატესობა კლეის მხარეზე იყო. უკეთესი მოძრაობა, რეაქცია, აგრესიულობა მას პირველობას ანიჭებდა რვა რაუნდში. კლეიმ ერთხელ ნოკდაუნში ჩააგდო მარჩიანო. იტალიელს წარბი გაუსკდა და ცხვირიც გაუტყდა. მეცამეტე რაუნდში რეფერი იძულებული გახდა გამოეცხადებინა მანქანის განაჩენი — კასიუს კლეი 57-ე წამზე ნოკაუტში ჩავარდა.

ფილმი ერთდროულად ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და ინგლისის ათას კინოთეატრში უჩვენეს. იგი ნახა კრივის დაახლოებით მილიონმა მოყვარულმა. და თუმცა მშვენივრად იცოდნენ, რომ ეს ყველაფერი გამონაგონი იყო, მაყურებლები მაინც მწვავედ განიცდიდნენ ბრძოლის მსვლელობას. მათ შორის იყო თვითონ კასიუს კლეიც. როკი მარჩიანოს თავისი გამარჯვება არ უნახავს. იგი საავიაციო კატასტროფაში მოჰყვა და დაიღუპა შარშან შემოდგომით.

სულ თავისი კარიერის მანძილზე მარჩიანომ დაუმარცხებლად ჩაატარა 49 ბრძოლა პროფესიულ რინგზე. 1955 წელს მან კრივს თავი დაანება. კლეიმ 29 ორთაბრძოლა გამართა და არც ერთი არ წაუგია. როგორც ცნობილია, მას მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს, რადგან უარი თქვა ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში სამსახურზე, ვიეტნამის მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტაზე.

კორესპონდენტებს, რომლებმაც ალყაში მოაქციეს იგი ფილმის დამთავრების შემდეგ, კასიუს კლეიმ განუცხადა: „მე, რასაკვირველია, ნაწყენი ვარ, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ გამონაგონია. ამჟამად გამოსვლის ნებას არ მაძლევენ, მაგრამ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს ისევ ავიდე რინგზე, რათა პირად ორთაბრძოლაში გავარკვიო, რომელი უფრო ძლიერი ვართ, მე თუ დღეს მსოფლიო ჩემპიონად აღიარებული ჯო ფრეზერი".

ახლა კასიუს კლეი წერს წიგნს თავის ცხოვრებაზე და სპორტულ ბიოგრაფიაზე. „მე ბევრჯერ გამოვსულვარ და ბევრი უსიამოვნებაც შემხვედრია ჩემი შეხედულებების გამოთქმის გამო, — თქვა სპორტსმენმა. — წიგნი, რომელშიც მხოლოდ სიმართლე დაიწერება, ალბათ კვლავ ბევრ უსიამოვნებას მომიტანს, მაგრამ ეს არ მაშინებს". (საკდესი).

ოჯახური «სპეციალობა» — სპრინტი

მოსკოვი, 23 იანვარი. ცურვაში საკავშირო რეკორდების ცხრილში წლეულს პირველი შესწორება შეიტანა მოსკოველმა მოსწავლემ ნ. კარაკულოვამ. დედაქალაქის 25-მეტრიან აუზში მან 100 მეტრი ბრასით 1 წუთსა და 16,6 წამში დაფარა — ზუსტად 1 წამით გააუმჯობესა გოგონათა საკავშირო რეკორდი, რომელიც ოთხ წელიწადს ეკუთვნოდა ი. პოზდნიაკოვას.

ნინა ცნობილი სპრინტერის, მძლეოსნობაში ევროპის პირველი საბჭოთა ჩემპიონის ნიკოლოზ კარაკულოვის ქალიშვილია. ახალი რეკორდსმენი 15 წლისაა.

მღვავედ, დაძაბულად...

ევროპათა თასის გათამაშებაში დადგა მეოთხედფინალური ეტაპი. აქ მონაწილეობის უფლება უკვე მოიპოვეს „ჰერტას" (გფრ) ფეხბურთელებმა, რომლებმაც დაამარცხეს პორტუგალიის „სეტუბალი".

მეოთხედფინალში გავიდა, აგრეთვე, ლონდონის „არსენალი", თუმცა მას საკმაოდ გაუჭირდა საფრანგეთის „რუანთან" ბრძოლა. პირველი მატჩი რუანში დამთავრდა ფრედ (0:0) და მხოლოდ საპასუხო შეხვედრა იქნა მოგებული მინიმალური ანგარიშით — 1:0.

ასევე ფრედ დაამთავრა ბაქოს „დინამომ" (რუმინეთი) თავისი პირველი მატჩი შოტლანდიის „კილმარნოკთან" (1:1), საპასუხო თამაში კი მოიგო შინ ანგარიშით 2:0.

უკიდურესად დაძაბული ბრძოლით აღინიშნა მატჩები ბელგიის „ანდერლეჰტსა" და შოტლანდიის „დანფერმლაინს" შორის. „დანფერმლაინმა" შინ გაიმარჯვა ანგარიშით 3:2, „ანდერლეჰტმა" რევანში აიღო — 1:0. მეტოქის მინდორზე გატანილი 2 ბურთისთვის უპირატესობა მიეცათ ბელგიელებს, რომლებიც გავიდნენ მეოთხედფინალში.

დაახლოებით ასევე მოხდა ინგლისის გუნდების — „ნიუკასლისა" და „საუთჰემპტონის" შეხვედრაში. ორივე მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0 და 1:1. საუთჰემპტონში გატანილმა გოლმა „ნიუკასლს" მოუტანა მეოთხედფინალის ვიზა.

დაბოლოს. ესპანეთის „ბარსელონისა" და იტალიის „ინტერნაციონალეს" წყვილის შესახებ. პირველი მატჩი შედგა ბარსელონაში და დამთავრდა იტალიელთა სასარგებლოდ — 2:1.

როცა შინაც უცხო ხარ

ლონდონი, 21 იანვარი. რასიზმის ახალი გამოვლინება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტში: გოლფის ერთ-ერთ უძლიერეს ფერადკანიან მოთამაშეს ქვეყნის ღია ჩემპიონატში მონაწილეობა აუკრძალეს.

ეს მოთამაშე გახლავთ ინდიელი პაპვა სევგოლუმი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩემპიონი ფერადკანიანთა შორის, ჰოლანდიის ღია ჩემპიონატების ორგზის ჩემპიონი. ერთხელ პაპვამ მოიგო ნატალის ღია ჩემპიონატი, რომელშიც თეთრკანიანი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. იგი იძულებული იყო პრიზის მისაღებად წვიმაში ელოდა გოლფის მოთამაშეთა კლუბის შენობის წინ, რადგან იქ შესვლა ფერადკანიანებისთვის აკრძალულია.

წლეულს პაპვამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ღია ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება ითხოვა, მაგრამ ეს თხოვნა ერთ-ერთმა მინისტრმა უარყო. ამ უკანასკნელმა განაცხადა: „პრემიერ-მინისტრის 1967 წლის 11 აპრილის განცხადების შესაბამისად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში არ შეიძლება ჩატარდეს რაიმე სპორტული შეჯიბრება თეთრკანიანებსა და ფერადკანიანებს შორის, სულ ერთია, რა დონეზეც უნდა იდგეს მონაწილეთა ოსტატობა. და ეს პოლიტიკა ყველგან გატარდება. თეთრები ცალკე უნდა მისდევდნენ სპორტს, დანარჩენები — ცალკე".

პაპვამ განაცხადა, რომ ამიერიდან იგი მხოლოდ უცხოეთში თუ გამოვა შეჯიბრებებში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 6 უე 03125